

1938

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# სიბავშვობა



11

1938





# პიონერი

საბ. აღკვ ცენტრალური კომიტეტისა და  
საბ. განსახორციელებელი ერთობისი უზრუნველნი

ნომერი 1938 წ. № 11

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—61

## შინაარსი

გვ.

1. ნინო ნაკაშიძე — ულუ და თეთ (მოთხრობა) . . . . .	1
2. ნ. მალაზონია — საზღვარზე (ლექსი) . . . . .	5
3. დ. ბროდსკაია — ლიდა კარასევის დღიური (ნაწყვეტები, თარგმანი შ. თაბუკაშვილისა) . . . . .	6
4. ნიკოლოზ ჯაში — მიხეილ ივანესძე კალინინი (წერილი) . . . . .	12
5. პიონერთა შემოქმედება — (ლექსები) . . . . .	14
6. სიმონ ქვარიანი — ერეკლე მეორე (ნარკვევი) . . . . .	15
7. ლ. კახიანი — მომღერალი თევზები (ნარკვევი) . . . . .	გარეკანის მე-3 გვ.
8. ვასართობი . . . . .	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გამოცემულია მხატვარ დონისა, ი. ქოქიაშვილისა და  
ი. მახაშვილის მიერ  
ყდის მხატვრობა — ქ. გველიშვილისა.



# უღუბანთ



3380

პატარა ბიჭი უღუ და მისი პატარა და თეთ მღვიმეში ცხოვრობდნენ, რადგანაც იმ დროს ადამიანებმა არ იცოდნენ სახლების აშენება. უწინ ამ მღვიმეში ცხოვრობდა დიდი შავი დათვი, მაგრამ უღუსა და თეთის მამამ მოკლა ეს დიდი შავი დათვი ქვის დიდი ცულით. მაშინ ადამიანებმა არ იცოდნენ რკინისა და ფოლადის იარაღის კეთება და იარაღად ხის კეტებს, ქვებს, ქიების ცულებსა და წამახვილებულ კაჭებს ხმარობდნენ. უღუსა და თეთის მამა მონადირე იყო, როგორც ყველა მაშინდელი ადამიანი, და ისინი ნანადირევით იკვებებოდნენ, რადგანაც არც ერთი მოშინაურებული ცხოველი არ ჰყავდათ და არც იცოდნენ, თუ შეიძლებოდა მოშინაურება.

აი სწორედ იმ შორეულ დროს, ერთ დღით, ამოგორდა თუ არა დიდი წითელი მხე ტყით აქოჩრილი მთის მწვერვალდიდან, მხიარული სხივები უხვად გადმოიშალა, გაიფანტა მთის ფერდობზე შეფენილ მწვანე კალთაზე და ააელვარა დიდი მღვიმის ღია პირი, რომელიც შავად გამოიყურებოდა დაქანებულ კლდოვან სერზე. გაღმა მთებსა და გაღლმა ფერდობს შუა ზევიდან მოისმოდა დიდი მდინარის ჩხერიჩხერას შხუილი. მღვიმე იყო ტყიანი ფერდობის ზემოთ, მღვიმის თავზე კი მწვანე მინდორი ბიბინებდა.

მღვიმიდან უცებ გამოხტა წვრილი თმაბურძგვნილი, წაბლისფერთმიანი ცქვიტი ბიჭი. სწრაფად მიიხედ-მოახედა, მიტრიალ-მოტრიალდა. თვალეზზე ხელი მიიღო და ცოტა ხანს იღვა, შემდეგ ცალ ფეხზე მოტრიალდა და მახლობელი დიდი ლოდისაკენ გაიქცა. ლოდის ძირას მოჩუხჩუხებდა ანკარა ცივი წყარო. ბიჭი დაიღუნა და თქაფათქუფით შეისხა პირზე წყალი, გადაივლო თავსა და კისერზე, მღვიმისაკენ გაიქცა, ისევ მიიღო ხელი თვალეზზე, ისევ მიიხედ-მოიხედა და ზედიზედ რამდენიმეჯერ დაიძახა:

— ბაა, ბა...ბააა!

შეჩერდა, არაკინ არ გამოეხმაურა და ზედიზედ უფრო მკაზედ დაიყვირა:

— ნენ, ნეენ, ნეეენ!

პასუხი არ იყო. ერთ წუთს უსიამოვნება გამოეხატა სახეზე. მისი ხუჭუჭა თმიდან წყლის წვეთები დაპალუბით მოწანწკარებდა, მაგრამ ის თითქოს ვერც

კი ამჩნევდა ამას. ცოტა სიჩუმის შემდეგ ისევ მღვიმისაკენ მიტრიალდა და მოუთმენლად დაიძახა:

— თეთ!

მღვიმიდან მკვირცხლად გამოხტა ბიჭზე უფრო მომცრო ტანის გოგონა. ისიც წაბლისფერ ხუჭუჭთმიანი, ძმასავით ტიტველა, მკვრივი, მაგარი მოყვანილობისა იყო. მხესა და ქარს ბრინჯაოს ფერად გადაექცია მათი სახისა და ტანის კანი. ბუნებას თითქოს წითელი ბრინჯაოთი შეეჯავშნა და გაემაგრებინა ისინი გარემოსთან საბრძოლველად.

— თეთ, სად არის ბა?

— არ ვიცი, — უპასუხა დამ.

— თეთ, სად არის ჩვენი ნენ?

— არ ვიცი.

— თეთ, ბამ და ნენმა დაგვტოვეს?

— ოჰ, რას ამბობ, უღუ! — წყენით მიუგო დამ.

— ბასა და ნენს ჩვენ უყვარვართ. ბა და ნენ არასოდეს არ დაგვტოვებენ.

— ოი, თეთ! ბა და ნენ ხომ წამოვიდნენ ძველი მღვიმიდან და დატოვეს ბებერი პა და ბებერი ბე. ჩვენ ხომ ისე გვიყვარდა ისინი! — და ბიჭს თვალეზზე ცრემლები მოადგა.


გოგონა ერთ წუთს დაფიქრდა, მერე გაიცინა, თავი გაიქნია და ხშირი თმის კულულები აათამაშა.

— არა, უღუ. იქ ხომ პატარა მღვიმე იყო. ბებერ პასთან და ბესთან კიდევ ბევრი ძია და პატარები დარჩნენ და ჩვენ, კი ჩვენ დიდ მღვიმეში ხალვათად ვართ, მერე...

— მე მიყვარს პა და ბე, — მოუთმენლად გააწყვდინა უღუმ. — მე იმათთან მინდა! — წარმოთქვა მან ოცნებით, თავი გააქნია, და თავზე შერჩენილი წვეთები ირგვლივ გაიფანტა... — მე მშოია, — თქვა მან ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— იქნება რამე დაგვიტოვეს, უღუ, — თქვა გოგონამ და შეირბინა მღვიმეში. ბიჭიც სწრაფად გამოუღვა.

მღვიმე დიდი და ხალვათი იყო, შესასვლელი — ფართე და მაღალი. შორს მიდიოდა მღვიმე კლდოვან სიღრმეში. მართალია, რაც უფრო შორს მიდიოდა, უფროდაუფრო ვიწროვდებოდა, მაგრამ მოძრაობა და სიარული შიგ თავისუფლად შეიძლე-





ბოდა. შესასვლელთან იდვა დიდი ლოდი, ეს იყო კარი, რომელსაც დამღამობით მიაგორებდნენ და აფარებდნენ შესასვლელს, რომ ნადირი არ შემოსულიყო. შუაში იყო კერა. კერასთან ეყარა ფიჩხი და ხმელი ხის ჯირკვები, ირგვლივ ალაგ-ალაგ სხვადასხვა ნადირისა და დათვის ტყავები ეფინა.

შევიდნენ თუ არა ბავშვები მღვიმეში, მაშინვე ეცნენ კერას. გაჩხრიკეს ნალვერდალი, სადაც შეხვეული იყო კეცხლი, მაგრამ არაფერი აღმოჩნდა.

კერასთან ბიჭმა ერთი დიდი გამჭრალი ნახშირი იპოვნა. აიღო, დაათვალიერა, ცოტა ფიქრის შემდეგ, თითქოს რაღაცამ გაუელვა თავში, გაიცინა, ჩამუჭა ხელში და გამოუდგა დას, რომელიც ქვის კედელში გამოკვეთილ გრძელსა და ბრტყელ ქვის

თაროს ეცა. არც იქ იყო რამ. გაიქცნენ კუნძულსაკენ. გაქექეს დაგროვილი ძვლები... არსად არაფერი იყო.

იქნება შენ კუთხეში დატოვეს რამე... ბიჭი და გოგონა ორივენი წავიდნენ უღუს კუთხეში. იქაც საკმელი არაფერი იყო. მხოლოდ რიგრიგად ეწყო სხვადასხვა ცხოველის გაწმენდილი. თეთრი ბეჭის ძვლები. უღუმ აიღო ერთი ყველაზე დიდი ბეჭი და დაანახვა გოგონას.

ნახე, თეთ, რა თეთრი და დიდი... მოდი, უღუ, დაეხრათ, — უთხრა გოგონამ, ჩვენ გვშია. ხედავ, ბასა და ნენს არაფერი დაუტოვებიათ ჩვენთვის.

ოჰ, არასოდეს... მე ამაზე პა და ბე უნდა დავხ...



ბიჭი თვალის დახამხამების უმალ მოტრიალდა, დაადგო ნახშირი, აიტაცა მიწიდან შოლტი და დაჰკრა ხელიკს, რომელიც სწორედ ამ დროს გამოძვრა გამოკვებულის გაბზარული კედლიდან და მზის შუქისაკენ მირობოდა გარეთ. თავგაჩეხილი ხელიკი მკვდარი ვაღმოვარდა ძირს. ბიჭმა აიტაცა და მაშინვე პირში იტაკა.

— მე, უღუ? — შეჰყვირა გოგონამ.

ბიჭმა იმ წამსვე გამოიღო პირიდან, გაგლიჯა შუაზე და ნახევარი დას მიაწოდა.

მაგრამ ერთი პატარა ხელიკი აბას რას გააძღებდა ორ მშიერ თერთმეტ — თორმეტი წლის ბავშვს?!

— ბა და ნენ წასულან, მაგრამ სად? — თქვა გოგონამ. ისინი გამოვიდნენ გარეთ და შეუდგნენ ახლო-ახლო ხეებისა და ბუჩქების დათვალიერებას. დარწმუნებული იყვნენ, რომ დედ-მამა რამე ნიშანს დაუტოვებდა იმათ, თუ სამუდამოდ არ მიატოვეს მღვიმე.

ბიჭი დაღვრემილი იყო, რადგანაც ფიქრობდა დედ-მამამ დაგვეტოვაო. თეთ კი ხალისიანად ეძებდა ნიშანს.

— აჰა, შეხედე! — წამოიძახა მან და მიუთითა ბუჩქის წალუნულ შოლტზე.

— აი მეორე წალუნული შოლტიც, წარმოთქვა გახარებული ბიჭმა, — მზისაკენ წასულან.

— შეხედე, შეხედე! — იძახდა გოგონა, — აი, ტოტზე



თევზისა და ხარის ძვლები დაუკიდიათ. სანადიროდ წასულან.

— ოჰ, მაშ ნანადირევს მოიტანენ და გავძლებით, — წარმოთქვა ბიჭმა და სიხარულით ხტუნვა დაიწყო. მას აჰყვა გოგონაც და კარგახანს ხტუნაობდნენ და მღეროდნენ:

ჩვენი ნენ, ჩვენი ბა  
მოიტანენ ნანადირევს,  
გააძლებენ თეთს და ულუს.  
ჩვენი ნენ და ჩვენი ბა  
ჩქარა დაბრუნდებიან.  
იმათ უყვართ თეთ და ულუ.

დაილაღნენ, გაოფლიანდნენ და კიდევ უფრო მოშივდათ.

— მოდი, კვერცხები მოვნახოთ ბუდეებში.

— ოჰ, ულუ, ჩვენ ხომ სულ ამოვკრიფეთ, რაც იყო ახლომახლო ხეებზე.

— მაშ, შენ ხომ ფეხმარდი ხარ, თეთ, წავიდეთ, იქნება ყურცქვიტა ან ზაზუნა დავიჭიროთ.

— წავიდეთ.

ულუმ გამოიტანა მღვიმიდან თავისი შოლტი.

ბავშვებმა ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს და გაიქცნენ. კარგახანს დარბოდნენ ხან აღმა, ხან დაღმა. თეთ ერთნაირის სიმკვირცხლით დარბოდა აღმართშიაც, კლდეებსა და ჯაგვებიან დაღმართზეც. ულუ კი სამაგიეროდ ხელმარდი იყო. კარგახანს ირბინეს და ეძებეს ბავშვებმა, მაგრამ ვერც ზაზუნა და ვერც ყურცქვიტა ვერ დაიჭირეს. მხოლოდ თეთმა ორი ვირთავვა და ერთი თავვი დაიჭირა. სამივეს თავი წააგლიჯა და ტყავი გააძრო ულუმ. ბავშვები ცოტათი დანაყრდნენ.

მზე თანდათან ზევით იწევდა და აცხუნებდა ბავშვები გავიდნენ ბილიკზე და ხის ძირას ჩრდილში ჩამოსხდნენ დასასვენებლად.

ბილიკი ამოდიოდა მდინარე ჩხერიჩხერადან, უჭლიდა მღვიმეს ძირს, შემდეგ მიიმართებოდა აღმართ-აღმართ და შედიოდა გამოღმა მთასა და მთის ფერდობზე შეფენილ ტყეში. ტყე შორს იყო მღვიმიდან, და ბავშვები ვერ ბედავდნენ იქ შესვლას.

დასხდნენ თუ არა ბავშვები, უცებ მათი ყურადღება ხმაურობამ და ყიჟინამ მიიპყრო და ისევ წამოცვივდნენ ფეხზე.


პირდაპირ, გაღმა მთის მწვერვალზე იწვოდა ტყე. ცეცხლის ალი ავარდნილიყო და ტკაცა ტკუციით ისვროდა ნაპერწკლებს. აქა-იქ, სადაც ცეცხლი არ გიზგიზებდა, მორბოდა ხალხი და ყიჟინით, ქვებითა და კეტებით ერეკებოდა ნადირს დაფეთებული ნადირი გამობოდა პიტალო კლდის პირად და შეშინებული ცვივდებოდა

ძირს, უფსკრულში. კამეჩები, ჯიხვები, ჩხებიანი ვეებერთელა ირმები და დათვები თავდაყიბო ტრიპლითა და ღმუილით ასკდებოდნენ ქვებს. ძირს მდინარის ნაპირას ჩასაფრებულყო კეტებითა და ქვებით ცულებით შეიარაღებული, ტყავებით შემოსილი წვეროსანი ხალხი, რომელთაც მოღერებულ იარაღი ეჭირათ ხელში და ელოდნენ, თუ რომელიმე ნადირი ცოცხალი ჩამოვარდებოდა ძირს, მაშინვე დაეკრათ თავში.

თეთსა და ულუს არასოდეს არ ენახათ ამნაირი ნადირობა და განცვიფრებულნი, გაქვავებულნი შესცქეროდნენ ამ უცნაურ სანახაობას.

უცებ ბავშვებმა ყურები ცქვიტეს და მოიხედეს: ბილიკზე გამალეებით მოდიოდა დიდრქებიანი ვეება თეთრი ძროხა. უკან მოშორებით მოსდევდა პაწაწინა ჭრელი ხბო. ძროხამ უკან მოიხედა და ცოტახანს შეჩერდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ისევ გაისმა ყიჟინა, ყვირილი და ნადირის გამწარებული ღრიალი. ძროხამ ისევ იბრუნა თავი და აღმართში გაიქცა ბავშვებისაკენ. ბავშვებმა ძლივს მოასწრეს ბილიკიდან გადახტომა და კედელზე ყვირილითა და პოტინით არბენა. ბავშვების ყვირილზე ძროხა კიდევ უფრო დაფრთხა და, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, გაიქცა ტყისაკენ. დაფრთხა ხბოც, მაგრამ სუსტი ფეხები მოეკეცა და ბილიკიდან კლდოვან თავდაღმართზე გადავარდა ჩირგვებში.

თეთმა მოიხედა და დაინახა თუ არა გადავარდნილი ხბო, მოსწყდა ადგილს და გამოუდგა. ხბო მიგორავდა ჩირგვებში და ისიც იყო უნდა დასცემოდა გამოწვეულ ლოდს, რომ სწორედ ამ დროს წამოეწია ფეხმარდი თეთ, სტაცა ხელი და აიყვანა. ხბოს ერთი ფეხი მოეტეხა და საცოდავად ლაყლაყობდა. თეთმა მიუაღერსა ლამაზ ხბოს, მოუსვა ლოყა თავზე და ქვაზე ჩამოჯდა. გაღმიდან ისევ ისმოდა ყიჟინი, ნადირისა და მხეცების ღმუილი,





რასაც ჩხერიჩხერა შხუილითა და ღრიალით აძლევდა ბანს. თეთ იჯდა და ელოდა ძმის მოსვლას, მაგრამ ულუ არ ჩანდა. მაშინ ადგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიძახა:

— ულუუ!

ცოტახანს შეჩერდა და კიდევ დაიძახა:

— ულუუუ!

პასუხი არც ახლა იყო.

სამაგიეროდ გაღმა მთიდან ღრიალით გადმოვარდა დათვი, დაასკდა გამოწვდილ ლოდს და ტრი-ალტრიალით ყირამალა გადმოეშვა ძირს. შეშინებულ-ლი თეთ წამოხტა. ხბო ისევ ხელში ეჭირა და ბი-ლიკზე აირბინა. შეჩერდა და კიდევ დაუძახა ძმას.

— ულუუ! — დაინახა, რომ ულუ იდგა მაღლა და ისევ ისე გაქვავებული შეცქეროდა გაღმა მთაზე ნადირობას. დის ძახილზე უცებ შეკრთა, გამოერ-კვა და დაეშვა ბილიკზე.

— ოო, თეთ, დაიჭირე? მოიყვანე შევეჭამოთ, გავეგლიჯოთ და შევეჭამოთ! — შესძახა ბიჭმა.

— შევეჭამოთ? ულუ, ნახე, ცოცხალია. ფეხი სტკივა, ხედავ, რა პატარაა...

— მოიტა, მე წავაწყვეტ თავს...

— არასოდეს... მე მეცოდება ხბო... რატომ შენ ბეჭი არ მომეცი?

— არ მომეცემ?

— არა.

— ძალად წაგართმევ...

ბიჭი თმაში ეცა გოგონას.

ხბომ ნელა, თითქოს დაიკვნესაო, დაიბღავლა: „მუუ“, და მაშინ გაისმა ჰაერში განრისხებული ძროხის ბღავილი, და თავდაღმართზე გამოჩნდა გაათვრებული ძროხა.

ბავშვებმა ხელი უშვეს ერთმანეთს და აღმართს ეცნენ. მიუხედავად იმისა, რომ თეთს ხბო მიჰყავდა, მაინც სწრაფად აირბინა კლდეზე. ულუც მიჰყვებო-და ფეხდაფეხ, და როდესაც ძროხამ მიიბრინა იმ ადგილას, სადაც ბავშვები იყვნენ, თეთი და ულუ უკვე კარგა მაღლა ავიდნენ და თეთმა დამშვიდებით გადმოიხედა ძროხისაკენ. იმან კარგად იცოდა, რომ ძროხა ვერ ავიდოდა კლდეზე. თეთი ჩამოჯდა ქვა-ზე, ულუ კი გაჩერდა დასთან გაოფლიანებული, დაღლილი და მშვიერი.

— მაშ არ ვჭამოთ, არ გინდა მომეცი? — უთხრა მან დას და ყვირილით დაუშინა მუშტები თავში. მაგრამ უცებ მოტრიალდა: გაღმა მთიდან გადმო-ხტა ვეებაჩხებიანი ირემი და ტრიალტრიალით გადმოვარდა უფსკრულში. ულუ უყურებდა, როგორ დაასკდა ის უფსკრულის ძირს და როგორ მისცი-ვდნენ მას ქვის ცულებით ჩასაფრებული მონადი-

(გაგრძელება იქნება)

რეები. ულუ უსიტყვოდ მოსწყდა ადგილს და გი-ქცა მღვიმისაკენ. თეთმა გააყოლა თვალი, მაგრამ არ ამდგარა. კარგახანს იჯდა ის ერთ ადგილას. კარგახანს ესმოდა, როგორ ბღავდა ბილიკზე ძრო-ხა, თითქოს ეძახდა შვილს. ხბოც ხანდახან თითქოს უპასუხებდა სუსტი ხმით „მუუ“.

გაღმა მთაზე ხმაურობა თანდათან მიწყნარდა. ცეცხლი ჩაქრა და აღარ ჩანდა. მზეც გადაიწვერა გამოქვავულის გადაღმით. ხევში ბინდი ჩაწვა. ძროხის ბღავილიც აღარ ისმოდა. თეთ ადგა და, თუმცა ძროხა ბილიკზე აღარ იყო, მაინც კლდე-კლდე გასწია მღვიმისაკენ. დაიღალა, ოფლი წურ-წურით ჩამოსდიოდა, მაგრამ ხბო მაინც ჰყავდა გულზე მიკრული და ეალერსებოდა.

— მე შენ მწვანე ბალახს მოგიტან... მე არ მიე-ცემ ნებას, რომ ულუმ შეგეჭამოს... მე შენ რბილად დაგაწვენ ტყავზე...

მზე თანდათან გადაიხარა, გრილმა ნიავმა დაქ-როლა. ხევიდან თანდათან მოიწვედა საღამოს ბინდი. თეთს ეშინოდა სიბნელის. ის გაუბედავად გამოვიდა ბილიკზე. თუმცა ძროხა არ ჩანდა, მაინც გაჩქარებით გაიქცა შინისაკენ. დაინახა თავისი ფა-როთო მყუდრო მღვიმე და სიხარულის ძახილი აღ-მოჰხდა გულიდან:

— ეჰე, ჰე, ჰეი! — დაიძახა მან. მუხლებში გაო-რკეცებული ძალღონე იგრძნო და უფრო ყოჩაღად გაეშურა...

მაგრამ ის ვინ არის, მღვიმის ღია პირთან რომ დგას? ბა? არა, ბა მაღალი, შავწვერა და შავთმიანია. ნენ? არა, ნენს არა აქვს ასეთი თეთრი თმა, თავზე შემოხვეული და ნიკაპთან მარყუჟად გამოსკვნილი. ნენს ტანზე გრძელი, შავი დათვის ტყავი აცვია, ბამ რომ მოკლა შარშან.

— ოო, ეს ჩემი ბე არის! — ხმამაღლა წარმო-თქვა მან. სწორედ ამ დროს მოესმა ძახილიც:

— თეთ, ჩემო ფეხმარდავ, თეთო, თეთო!

— მოვდივარ, მოვდივარ, ბე! — გასძახა გოგონამ.

ბე დაეშვა გამოქვავებულიდან თეთისაკენ ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა და მოაბიჯებდა. ბემ შორი-დანვე გაშალა ხელი და ჩაიკრა გულში გოგონა.

— მე თქვენთან მოვედი, მე ვერ გავძელი უთქვე-ნოდ, თეთ, მე მიყვარხართ, თეთ, შენ და ულუ!

— ოოჰ, ჩემო საყვარელო ბე, რა კარგი ხარ... პა, ბე? პაც მოვიდა?

— არა, თეთ, პა იქ დარჩა, იმათთან.

— ბე, ნახე, რა პატარაა... — თეთმა გაუწია ხბო, რომ დაეფარა თავისი წყენა პას მოუსვლელობით.

— მომეცი, მე წავიყვან, თეთ, შენ დაილაღე.

— არა, ბე, შენ ხომ ბებერი ხარ. მე მეცოდები.





# საზღვარზე

1.

ცა მუქი და უდაბური...  
 ღრუბლის ქულას ნაადრევს  
 მთვარე, როგორც მებადური,  
 მთიდან მთაზე დაათრევს.  
 ქარი არწევს წყავის ტოტებს,  
 წვიმის წვეთის მძივიანს,  
 ჩანჩქერები თავაწვევით  
 უფსკრულებში ცვივიან.  
 მთებზე ღვართა ნაკვალევი,  
 ხარ ირემის რქები,  
 სისხლნაკლული ვარსკვლავები  
 ბეუტავენ და ქრებიან.  
 ზღვა ბულრაობს სიპი კლდის წინ,  
 თითქოს მოთხრას აპირებს,  
 საღვაც მთაში სტვენა ისმის,  
 მწყემსი აფრთხობს ნადირებს...

2.

როცა უკვე აღარ წვიმდა,  
 როცა მთვარეც ჩანდა მალსა,  
 ჯემალიკომ გადაწვევითა  
 გაემგზავროს სახლში ახლავ.  
 ის ხომ პიონერი არის,  
 გმირი ბიჭი და რჩეული!  
 რას უქვია ღამე, შიში...  
 თუმცა ცოტას ჩქარობს გული.  
 მიდის...  
 მაგრამ ხომ არ იცის,  
 ბუ რას კივის იმის ირგვლივ!  
 უცებ აი, ახლოს, მის წინ  
 ამოძრავდა თითქო ჩირგვი!  
 შედგა.  
 ღამე ხევში ბოდავს,  
 ზურგზე აკრავს მთას დაბლობი...  
 და მაშინვე მოაგონდა  
 ჯემალს ზღაპრად ნაამბობი:  
 „ჭალარა მთა ზურგს რომ დასწევს,  
 საზღვარი რომ გადის ახლა,  
 არვის ახსოვს — როდის, რა წელს —  
 თურმე, ქაჯი ჩაესახლა.  
 დღისით იქვე სძინავს ხევში,  
 ღამით ტყე-ტყე დაბაჯბაჯებს,

აღრჩობს, ვისაც იგდებს ხელში,  
 განურჩევლად ქალს და ვაჟებს.  
 რქებს შუბივით დაატაკებს,  
 სატევარზე უფრო — კბილებს,  
 და მზადაა ფათერაკი,  
 შველა ვაჟაკს გააწბილებს!  
 ერთხელ, თურმე, ჩუმად, პარვით...“  
 — კმარა, ბაბუ, ნუ მაშინებ!  
 ჩვენც გვსმენია ეს ზღაპარი —  
 პიონერებს, კომკავშირლებს!  
 ხევში რამდენს არ დავდივართ,  
 ერთხელ კიდევ ვუღარაჯეთ,  
 მაგრამ არსად გადავყრივართ  
 არც ეშმაკებს და არც ქაჯებს!  
 მაგრამ რაა, ხევს აქედან  
 რომ წამოდგა რაღაც ლანდი!  
 მოიჩრდილა, გაიხედა,  
 ალბათ, ზომავს მანძილს გზამდი.  
 ლანდს მეორე აპყვა ხევში,  
 თითქოს ნისლის სვეტებია.  
 არც რქები აქვთ და არც ეშვი,  
 წამოვლენ და შედგებიან...  
 — სად მიდიხარ ჩუმად, პარვით!  
 ლანდი როგორ შემაშინებს!  
 ჩვენც გვსმენია ეს ამბავი —  
 პიონერებს, კომკავშირლებს!





მაგრამ ასე ახლო გზასთან  
 ეს ოხრები როგორ გაჩნდნენ!  
 ნახტომი—და მერე „ბასტა“,  
 იყვირე და იგანგაშე!  
 უკვე სახეც მოჩანს მათი,  
 თითქოს სუნთქვაც შემოესმა...  
 ეს ვილა? კიდევ ათი  
 ჩასაფრული იქვე კლდესთან!  
 „აჰა, თქვენ ხართ?! ჩუმად, პარვით...  
 ვნახოთ, ვინ ვის შეაშინებს!  
 ჩვენ გვსმენია ეს ამბავი —  
 ბიონერებს, კომკავშირლებს!  
 ჩვენი მტრობა ბევრმა სცადა,  
 ბევრმა ლესა ჩვენთვის დანა,  
 მაგრამ...  
 თქვენც იქ წახვალთ, სადაც,  
 სხვაც წასულა თქვენისთანა!“  
 და ყმაწვილის გული მორჩა,  
 არც ბუ ესმის და არც წრომი.  
 თითქოს დღეა, ისე მოჩანს  
 მთების ვიწრო გასაძვრომი.

ის ლანდები კეცენ შარას,  
 მთის ბილიკზე გაჩნდა ლანდი:  
 ეს ჯემალი მოკლედ ფარავს  
 მანძილს ჯარის სადგომამდი...



3.

კუნთმაგარი სიპი კლდიდან  
 წვეთდა თოვლის წვენი,  
 მთის კალთებზე ნისლი იდგა —  
 ირმის მონაწველი.  
 ხევში ცვარი შვების ცრემლად  
 ესხა მანდარინებს,  
 და ჩანჩქერი ისე სცემდა,  
 როგორც მეღაირე.  
 ალიონი ღამეს ხევდა,  
 ცას უხსნიდა ღილებს,  
 ვერ გაუძლო ღამემ ხევთან  
 დილის მოძახილებს.  
 და რომ გაქრა ცაზე მთვარე,  
 დაკიდული მთამდი,  
 ელსადგურთან ჩაატარეს  
 ყველა დივერსანტი.

რ. ბროსკაია



# დიდა კარასუვას გღიური.

5 ოქტომბერი

უკვე მეორე დღეა, რაც სკოლაში არ წავსულ-  
 ვარ ფლუსის გამო. აი ეს წუთია ტელეფონით და-  
 დავურეკე ჩემს საუკეთესო ამხანაგს ფაიკას. ვკით-

ხე, ახალი რა არის სკოლაში და ქიმიში რა ახსნა  
 ვალერიან პეტროვიჩმა. თურმე, ქიმიკოსს აუხსნია  
 ნივთიერებების მარადისობის კანონი, ბავშვები კი  
 ცდებს აკეთებდნენ, ზუსტ სასწოროზე წონავდნენ  
 ხსნარიან სინჯარებს.



— ვინ გამოიძახა მათემატიკოსმა? — ვკითხე ფაიკას.

— შორა განცევიჩი გამოიძახა, და ის საოცრად ჩაფლავდა ალგებრაში...

### 7 ოქტომბერი

ადვილი არ არის თითქმის ყოველდღე დღიურის წერა. აი ახლაც, იმის ნაცვლად, რომ ეზოში გავიდე და ფრენბურთი ვითამაშო, უნდა დავჯდე და ყველა ახალი ამბავი ჩავწერო. ოხ, ვშიშობ, რომ ეს მალე მომბეზრდება. თუმცა რაისა სემიონოვნა ჩვენ ყოველთვის გვეუბნება: თუ რაიმე ამოცანა დაისახე, სიძნელეებს ნუ შეუშინდები და საქმე ბოლომდის მიიყვანეო.

მე უკვე დიდი ხანია გადავწყვიტე ხასიათის სიმტკიცე გამოვიმუშაო და მედგარი გავხდე. ამიტომ უნდა დაეძლიო სიზარმაცე და შევასრულო ჩემი თავისათვის მიცემული სიტყვა (დღიურის წერის შესახებ). ეს რომ არ დამევიწყდეს, მე ჩემი მაგიდის ზემოთ ქინძისთავით მივამაგრე წარწერა „შეასრულე მიცემული სიტყვა“.

როდესაც თუნდაც ერთ დღეს გამოვტოვებ სკოლაში, მე ყოველთვის ასე მგონია, სკოლაში უჩემოდ არაჩვეულებრივი რაღაც მოხდა და პედაგოგებმა, ალბათ, იმდენი ახალი რამ ახსნეს, რომ ერთ კვირაშიც ვერ დავეწევი მეთქი. ამიტომ სკოლაში აღრე წავედი, რომ ყველაფერი ჯეროვნად გამეგო. შემოდგომის წვრილი წვიმა მოდიოდა. ტანისამოსის გასახდელში ლამბები ენთო, კაფელის ლუმელებში შეშას გაჰქონდა ტკაცატკუცი, და იქ ყოფნა მიმზიდველი იყო.

მე სასწრაფოდ გავიხადე და ზევით ავირბინე. ჩვენი დერეფანი ძალიან მიმზიდველია. კედლების გასწვრივ სკამებია, ხის თაროებზე კი, რომლებიც ჩვენ თვითონ გავაკეთეთ სახელოსნოში, ბევრი ყვავილია. ყოველ იაქთაღში მინიანი რაიმე სურათი ჰქვია.

დერეფნის ბოლოში ჩემი და ფაიკას საყვარელი კუთხეა, სადაც ვზივართ დასვენებებზე. დერეფანში დავინახე ჩვენი კლასის მოწაფეები: ფაიკა, ვოვა, ლოკინი და შორა განცევიჩი შემოხვევოდნენ ვიტია ასტახოვიჩს, რომელიც მათ რაღაცას უამბობდა ხმა-მალღ და ხელებს აქნევდა.

— ასტახოვიჩ, არ შეიძლება უფრო ხმადაბლა ილაპარაკო? — თქვა ლინა ბრასლავსკაიამ, რომელმაც კლასიდან გამოყო თავი.

მე და ლინა ბრასლავსკაია ერთად ვსწავლობთ მე-4 კლასიდან. მისი მამა ქარხნის ტექნიკური დირექტორია, და ლინა ძალიან ტრაბახობს, რომ ის მანქანით დაყავთ სკოლაში. წინათ მე დავდიოდი ხოლმე ლინასთან სტუმრად ფონტანკაზე. მას ყველაფრის ნებას აძლევენ, რასაც კი მოისურვებს. დედამისი ამბობს: „ეს ჩემი ერთადერთი გოგონაა, ეს უკრაინაში დაიბადა მძიმე 21 წელს, და მე ყველაფერს ვაპატიებ მას“.

რა უცნაურია დედამისი! ჩვენთან ბევრი გოგოა

21 და 22 წელს დაბადებული, მაგრამ ათავის არ მიაჩნია ეს დიდ ამბად. იქნებ სწორედ ამიტომ არის ლინა ასეთი ამაყი. მას ყველაფერში პირველობა უყვარს, მხოლოდ თავის გულითად ამხანაგებს უყვარს.

ლინა ახლა დამეგობრებულია ახალ მოწაფესთან — კოლესნიკოვასთან. რიტა კოლესნიკოვა ძალიან კარგია (ყველაზე ლამაზია ჩვენს კლასში). მასზე დიდ გავლენას ახდენს ლინა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ კლასში არიან მოწაფეები, რომლებიც ერთმანეთთან ჩხუბობენ. ლინა ბრასლავსკაია მეთათურობს, იმ ბავშვებს, რომლებიც კარგად სწავლობენ, მაგრამ ამაყობენ და თავზედურად იქცევიან.

მე, ფაიკა, პტიცინი, მირა კოვანი და სხვები ვცდილობთ კარგადაც ვისწავლოთ და კარგი პიონერებიც ვიყოთ.

მე და ფაიკა კლასში შევედით. რიტა კოლესნიკოვა და სქელი როზა ივანოვა გაფაციცებით იწერდნენ ამოცანას ლინა ბრასლავსკაიას რვეულიდან. მირა კოვანი დაფასთან იღგა, ცერებზე შემდგარიყო და ზმნის „chlafen“ უღვლილებას წერდა (ის დაბალია და ფიზკულტურაზე ყველაზე უკან დგას).

— ლიდა! კარასხია! — დაიყვირა მირამ. — ახლავე გასწი ხელმძღვანელთან, ის დაგეძებდა!

მე ფაიკაც გავიყოლე, და გავექანეთ პიონერ-ხელმძღვანელ ვანია კუჩერენკოს საძებნად. ვანია წითელ კუთხეში ვიპოვნეთ. მან გვითხრა: ჩვენმა შეფმა, ლენინის სახელობის ქარხანამ, სკოლის ბაზაზე მოამაგრა სროლის ინსტრუქტორი — კომკავშირელი. ვანია და მამავალა შევადგინო ბავშვების სია და თვალყური ვადევნო, რომ ყველა წესიერად ესწრებოდეს მეცადინეობას.

ამ დროს გაისმა ზარი, და მე და ფაიკა კლასისაკენ გავიქეციით.

როდესაც კლასში შევედით, უცნაური სურათი ვნახეთ: კარადაზე, სადაც სასწავლო ხელსაწყოები ინახება, სწორედ ჩარლზ დარვინის პორტრეტის ქვეშ, იჯდა მირა კოვანი და ფეხები ძირს ჩამოემჭია; კოლესნიკოვა ეჩხუბებოდა ასტახოვიჩს, რომელიც ხელს ჰკრავდა, რომ კარადიდან გაეგლო; ლოკინი კი პტიცინსა და ივანოვს უბიძგებდა.

— რა მოხდა? — დაიყვირეთ ჩვენ.

— მირა, კარადაზე რატომ ზიხარ?

— მე მინდოდა მტვერი მომეწმინდა დარვინისათვის, — აჯუჯლურდა მირა, — ამათ კი სკამი. ამაცალეს და ვეღარ ჩამოვდივარ!

— ხომ არ გაგიჟდი! ახლავე შემოვა გერმანულის მასწავლებელი!

ფაიკა ოთახის მეორე ბოლოში გავარდა სკამისათვის, მაგრამ უკვე გვიან იყო: კარებში იღგა გერმანელი ანა ურბანოვნა. ჩხუბი მყისვე შეწყდა, და ყველანი თავის ადგილებს მიაწყდნენ. გერმანულის მასწავლებელი შემოვიდა კლასში და თავის მაგიდას მიუჯდა. ის ძალიან ბეცი იყო და ვერაფერი შენიშნა.



— *Ruhig, Kinder, ruhig!* <sup>1)</sup> — თქვა ანა ურბანოვნამ. მან თვალბრუნებით მიიტანა კუს ბაქნის ლორწო-ტი და გადაშალა ჟურნალი.

— რიხტერ, lesen Sie, bitte, §-42 <sup>2)</sup>

საშა რიხტერი წამოდგა და, იწონებდა რა თავს თავისი კარგი გერმანული გამოთქმით, წაიკითხა § 42.

მაგრამ მას არავინ უსმენდა. ჩვენ ყველანი ვფრუტუნებდით და კარადას მივჩერებოდით, სადაც იჯდა მირა კოვანი და შეშინებული სახე ჰქონდა.

როდესაც რიხტერმა დაასრულა კითხვა, ანა ურბანოვნამ კვლავ ცხვირთან მიიტანა თავისი ლორწოტი და უცებ თქვა:

— კოვან, lesen sie, bitte, § 41.


აი აქ მოხდა ის, რაც აქამდისაც მაცინებს. ვერც კი მოასწრო ანა ურბანოვნამ პირის მოკუმევა, რომ მის ზურგს უკან რალაცამ დაიგრილა: მირამ რომ თავისი გვარი გაიგონა, ვერ მოითმინა და კარადიდან ძირს მოიღო ბრაგვანი.

— საიდან ჩამოვარდი? — ჰკითხა შეშინებულმა გერმანელმა.

— კარადიდან, — წაიდუღუნა კოვანმა, მთელი კლასი კი ხითხითებდა.

— *Ruhig, Kinder, ruhig!* კოვან, მე შენ დასვენებაზე მოგელაპარაკები.

ფაიკას არ მოუშადადებია გერმანული თარგმანი და ამიტომ თითქოსდა ნემსებზე იჯდა, რომ შეუმჩნეველი ყოფილიყო, ის ძალზე დაიხარა სახელმძღვანელოზე და ცდილობდა არ ესუნთქა.



1) წყნარად, ბავშვებო, წყნარად!

2) გთხოვთ წაიკითხოთ § 42

მე კი სრულიად არ მეშინოდა, ვინაიდან ვალდის დროს კარგად ვისწავლე გერმანული, მე ძალიან მინდოდა ანა ურბანოვნას გავეძახე. მე მინდოდა ვალდის ჰიპნოზი გამეკეთებინა მისთვის (პირდაპირ სხვირის ძვალში მივჩერებოდი), მაგრამ არაფერი გამოვიდა. ანა ურბანოვნა მშვიდად იჯდა და არავითარ ყურადღებას არ მაქცევდა. მან მალე სავსებით დაამთავრა გამოკითხვა და განაგრძო ახსნა.

— ლიდა, ზორბად არ გაადინა კოვანმა კარადიდან ბრაგვანი, — აჩურჩულდა ფაიკა, რომელმაც ახლა უფრო თავისუფლად ამოისუნთქა.

— მე კი ვფიქრობ, რომ ეს ჩამოხტომა ასე არ ჩაუვლის.

და მართლაც ასე მოხდა. გერმანულის მასწავლებელმა ყველაფერი უამბო ჰიონერხელმძღვანელს, მან მოსალაპარაკებლად დაიბარა ასტახოვიჩი და მირა. ბავშვები მისგან რამდენადმე შემკრთალნი დაბრუნდნენ. როგორც ეტყობა, თავზე როდი დაუსვეს ხელი.

## 9 ოქტომბერი

ჩემი დღიურის პირველ გვერდზე მოვათავსე ამხანაგ სტალინის სიტყვები, რომლებიც ჩვენი სკოლის დროშაზე წერია.

„...გამბედაობა და მამაცობა — ეს არის გმირობის მხოლოდ ერთი მხარე. მეორე მხარე — არა ნაკლებ მნიშვნელოვანი — ეს არის მოხერხებულობა...“

მე ჩავიწერე ეს სიტყვები, რომ მათ ყოველთვის მომაგონონ, რამდენად ცოტა ვიცი ჯერჯერობით და რარიგ ბევრი უნდა ვისწავლო.

მაგალითად, მე ცოტას ვკითხულობ. წელს სიტყვა მივეცი ჩემს თავს მთლიანად წავიკითხო მ. გორკი და დიკენსი.

## 13 ოქტომბერი

დღეს ვნახე მატყილა, როდესაც მე და ფაიკა გავრბოდით სასადილოში ადგილების დასაჭერად. მე აქ მომიხდებოდა მატყილას შესახებ ყველაფრის რიგრიგობით ჩაწერა. ეს გრძელი ისტორიაა.

ერთხელ, როდესაც საერთო სასკოლო კრებაზე ვიჯექი, ერთი კლასით უფროსმა გოგომ, ლიზა ოსოკინამ, თქვა:

— ჩვენ კლასში ახალი ბიჭი შემოვიდა, — და მან გვაჩვენა შავთვალა ბიჭი, რომელსაც ნაქსოვი თბილი ქურთუკი ეცვა.

ერთხელ ფაიკას დაესიზრმა, თითქოს ეს ახალი ბიჭი ჩვენს კლასში გადმოიყვანეს და ვითომ მას საშა ჰქვია. ჩვენ დავიწყეთ ცნობების შეკრება.

პირველად თვითონ მას მივმართეთ. კიბეზე რომ დავიჭირეთ, ავღრივალდით:

— რა გქვია შენ?

მან თვალბრუნებით დააქყიტა, მაგრამ არაფერი არ გვიბასუხა. მაშინ ლიზა ოსოკინასთან წავედით. მან თქვა — ის იურა ტროიციკი არისო.

ერთხელ მე დამაგვიანდა. მოწყენილი ვიყავი, დავდიოდი სკოლაში აქეთ-იქით და „მოწყენილო-



ბისაგან ვიხრჩობოდი“ (ასე იტყოდა ფაიკა) გადავწყვიტე წავსულიყავი ბაქანზე, რომელიც სხვენის წინ არის. როდესაც ფიზიკის კიბეს ჩაუჯარე, კარგების წინ დავინახე იურა ტროიციკი. ის ძალიან მოწყენილი იდგა, თავი ძირს ჰქონდა დახრილი.

„გაკვეთილიდან გამოუგდიათ“ — გადავწყვიტე მე და შევჩერდი. ვფიქრობდი — ვუთხრა რამე თუ არა მეთქი. იურა ტროიციკიმ ნელა ასწია თავი. ნაღვლიანი სახე ჰქონდა, მაგრამ ძალიან ჰკვიანური და კარგი. ის ოდნავ მოკუზული იდგა.

— გამოგაგდეს? — ვკითხე მას.

ტროიციკიმ არ მიპასუხა.

„უეჭველია, გამოუგდიათ“ — გადავწყვიტე და უხერხულობა ვიგრძენი, რომ მივჩერებოდი. მე ზევით ავირბინე. მერე მე და ფაიკა გამოველაპარაკეთ ჟენკა შტაუფს (მე-8 კლასის მამასახლისს). მან „მატილდა“ უწოდა ტროიციკის. ჩვენ გავოცდით და ვკითხეთ, თუ რად ეძახიან ასე.

შტაუფმა მოგვიგო:

— მას მატილდას ეძახიან, მაგრამ რატომ — ეს კი არ ვიცი.

ჩვენ ღიზა ოსოკინასთან წავედით. მან გვითხრა — ტროიციკის ჰყავდა მატილდა კატაო. მაშინ გადავწყვიტეთ, რომ ტროიციკი ჰკვიანი ბიჭია, ბეჯითი მოწაფე და დედუკოს გულის ვარდი.

#### 17 ოქტომბერი

გუშინ საკონტროლო სამუშაო გვექონდა გეომეტრიაში. მე წინასწარ გავიმეორე ყველაფერი და სრულიადაც არ მეშინოდა: 15 წუთში გამოვიყვანე ამოცანა და პირველმა ჩავაბარე. მერე პტიცინმაც ჩააბარა. საბრალო ივანოვამ კი მთელი საათის განმავლობაში ვერაფერი ვერ ამოხსნა. ახლა მე ყველაზე მეტად მეშინია საკონტროლო მუშაობის ალგებრაში. ფაიკამ სწორედ ამოხსნა ამოცანა, მაგრამ შემოწმება დაავიწყდა და ახლა სულ ყოველთვის „განიცდის“.

#### 20 ოქტომბერი

უკანასკნელი გაკვეთილი დმიტრი ოსიპოვიჩისა იყო. მან მოიტანა გეომეტრიის საკონტროლო სამუშაოები; მე დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორედ მქონდა ამოცანა ახსნილი. პასუხშიც კი არ ჩავიხედე, რომ შემემოწმებინა. სულ პირველად წერიით სამუშაოები მიიღეს მირამ და ფაიკამ. მათ „კარგი“ აქვთ. დმიტრი ოსიპოვიჩი განაგრძობს ფურცლების დარიგებას. როზა ივანოვას, რასაკვირველია, „ცუდი“ უზის.

ჩემი ცისფერგარეკანიანი რვეული სულ უკანასკნელი იყო. დაბოლოს გაისპა ზარის ხმა. დმიტრი ოსიპოვიჩმა გამომიწოდა რვეული და მთელი კლასის გასაგონად თქვა:

— ასეთი პატივცემული პიროვნება, როგორც ლიდა კარასევაა, და „ცუდი“.

„ცუდი?! ერიჰა! ამას კი არანაირად არ მოველოდი... საკონტროლო მუშაობამდის მე და ფაიკამ არაერთხელ დავამტკიცეთ თეორემა.“

მერე რა აღმოჩნდა, დღეს რომ კისელიოვში ჩავიხედე? დავინახე, რომ ამოცანა სულ სხვანაირად უნდა გამოემყვანა. მე მხედველობიდან გამოვეწვიე რომ როდესაც წრეს შემოწმებენ სწორკუთხედიურ სამკუთხედის ირგვლივ, მაშინ ჰიპოთენუზა ყოველთვის ემთხვევა დიამეტრს. თურმე, სულ უბრალო ამოცანა ყოფილა, და ამიტომ საშინლად მწყინს.

#### 24 ოქტომბერი

12 საათზე მოვიდა ფაიკა. ზოოლოგიაში გავიმეორეთ მრავალფეხიანები და ისტორიას მივყავით ხელი. უნდა გამოგვეკითხონ მე-12 და მე-13 საუკუნეების გერმანიის შესახებ. ფაიკა კითხულობდა თავის კონსპექტს, მე ყურს ვუგდებდი. ისტორია საინტერესო საგანია, მაგრამ, მართალი რომ ვთქვა, ზოოლოგია გაცილებით მეტად მიყვარს, ვიდრე ისტორია.

ფაიკა ძალიან ჩქარა კითხულობდა თავის კონსპექტს, და მე სულ ამერია თავში თარიღები და სახელწოდებები.

„1162 წ. მილანი დანებდა... საქსონიის ჰერცოგი და ფილიპე შეაბელი... პაპს უნდა შეეჩვენებინა ფრიდრიხ მე-11... გრაფ ლუქსემბურგმა დაიპყრო ბოჰემა...“

როდესაც ისტორია ვისწავლეთ, მე რადიო ჩავრთე, და ვალსის ცეკვა დავიწყეთ.

#### 25 ოქტომბერი

დღეს მე და პტიცინს ცხარე ლაპარაკი მოგვივიდა ღიზა ბრასლავსკაიასთან. ის კარგად ხატავს, და წლის დასაწყისში ის ამოვირჩიეთ კლასის რედკოლეგიაში. მაგრამ აი უკვე ორი თვე გავიდა, ვაზეთი კი ჯერაც არ გამოსულა იმის გამო, რომ ბრასლავსკაიამ ვერ მოიკალა სათაურის დასახატავად.

როდესაც პტიცინმა, როგორც მამასახლისმა, შენიშვნა მისცა ღიზას, მან თავხედურად მიუგო:

— რად ამომირჩიეთ რედკოლეგიაში? მე ხომ გაგაფრთხილეთ მაშინ, დრო არ მექნება მეთქი საზოგადოებრივი მუშაობისათვის. ჩემი საქმეა კარგად ვისწავლო, სხვა რამ კი მე არ მეხება.

მე ვუთხარი ღიზას, რომ ის კაცი, რომელსაც არაფრის გაკეთება არ უნდა კოლექტივისათვის, — უფულო ეგოისტია:

ბრასლავსკაიამ ზიზლით საესე თვალებით შემომხედა. ჩვენ ახლა მტრები ვართ.

#### 26 ოქტომბერი

გრიშა ეგოროვი საუკეთესო მოწაფეა კლასში. ჩვენ მას „გენიალისიმუსი“ დავარქვით, რაც გენიოსზე მეტს ნიშნავს.

შარშან ის ეკიდა წარჩინებულთა დაფაზე (ე. ი. ის კი არა, მისი გვარი ეკიდა). გრიშა მეტისმეტად მალალია, გამხდარი და უშნოდ მოყვანილი. მას მუდამ ხვერდის ბლუზი აცვია. რაღაცნაირად ველურივით არის და მოუხეშავია. ზარის შემდეგ ეგოროვი დერეფანში ვახტება ხოლმე და მთელი დასვენების განმავლობაში კედელთანაა ატუხული, თითქოს და გუშავი დგას საღარაჯოზე. არავისთან არ მე-



გობრობს, მაგრამ გაუგებარ რაიმეს თუ ჰკითხავ. სიამოვნებით ავიხსნის. ეგოროვი ჩვენი სკოლის საუკეთესო მოქალაქეა და სამ ენას სწავლობს — გერმანულს, ფრანგულსა და ინგლისურს.

დღეს შესვენებაზე საშინლად გავოცდი: ჩვენი „გენიალისიმუსი“ ელაპარაკებოდა იურა ტროიციკის.

განა რის შესახებ შეეძლო ელაპარაკა იმ ზოზინსთან? მე ჩავუარე მათ და გავიგონე, ეგოროვმა რომ უთხრა თავისი გრძელი ხელების ქნევით:

— არა, არა, ბოტვინიკს ამ პარტიაში მეფის გამბიტი უნდა გამოეყენებინა...

მაშასადამე, მათილდა არც თუ ისე ყუყუჩი ყოფილა, თუკი მას ქაღრაქზე ელაპარაკებოდა.

გუშინ ფაიკამ გადაწყვიტა ტელეფონით დალაპარაკებოდა მას. მან ყურადღებითა და ზრდილობიანად მოუსმინა, მერე შეეკითხა:

— ვინ ლაპარაკობს?

მაგრამ ფაიკამ არ იცოდა რა ეთქვა და მილი ჩამოკიდა. ფაიკა რწმუნება: მას ტელეფონში ისეთი ხმა აქვს, როგორც უნდა ჰქონდესო: ძალიან წესიერიო.

### 27 ოქტომბერი

დღეს, როგორც იქნა, მოვიკრიბე ძალღონე და მოველაპარაკე დმიტრი ოსიპოვიჩს. დასვენებაზე შევედი სასწავლო ნაწილში. იქ ბევრი ხალხი იჯდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ არ ესმოდათ ჩვენი ლაპარაკი. დივანზე ისხდნენ ფიზკულტურის მასწავლებელი, ქიმიკოსი და შრომა.

მე კუთხეში გავიხმე დმიტრი ოსიპოვიჩი და ვთხოვე რაც შეიძლება მალე გაჩიქანას დაუკასთან. მე მინდა გეომეტრიაში გადავისწორო ცუდი ნიშანი.

— რასაკვირველია, გამოვიძახებ, — მითხრა დმიტრი ოსიპოვიჩმა, — რა მოგივიდა საკონტროლო მუშაობის დროს? ასეთი პატივცემული პიროვნება ხარ და უბრალო ამოცანა კი ვერ ამოხსენი.

— თეორემა ავრიე, — წავიდუღუნე, გავწითლდი და გამოვევარდი სასწავლო ნაწილიდან.

დასვენებაზე მე, ფაიკა და კოვანი ვისხედით ჩვენს საყვარელ კუთხეში, დერეფანში, ფიკუსის ხქით. მოვიდნენ ლოჟკინი, ასტახოვიჩი, ეგოროვი და პტიცინი. ჩვენ ვლაცობდით სხვადასხვა რამეზე, მერე კი მეგობრობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ლოჟკინი, ასტახოვიჩი და კოლია პტიცინი ვვარწმუნებდნენ, გოგოსა და ბიქსს შორის შეუძლებელია ნამდვილი მეგობრობაო. ასტახოვიჩი ამბობდა: გოგო, თავისი ხასიათის მიხედვით, ბიქზე უფრო მშობარა და სუსტია, ბიქს მასთან ყოფნა არ აინტერესებსო. აბა რა მეგობარია ის, ვისგანაც მხარის დაჭერას ან დახმარებას არ უნდა მოელოდეო. რასაკვირველია, შეიძლება გაისვირნო გოგოსთან, კინოში წახვიდე იმასთან, მაგრამ ეს მეგობრობა კი არ არის, ეს ისე, რა, უბრალოდო.

პტიცინმა თქვა, მე ამას სავსებით ვეთანხმებიო, გოგოებს მხოლოდ ჩერები ახსოვთ და ქალური ლაპარაკიო, ამიტომ ჩვენს სკოლაში არ არის არც

ერთი ბიჭი, რომელიც ისე მეგობრობდა გოგოსთან, როგორც ბიქთან. მართალია, უფროს კლასებში არის რამდენიმე წყვილი, მაგრამ ყველაფერი რომ ისინი ერთმანეთის მეგობრები არამედ „გული უძგერთ“ ერთმანეთისათვის.

იმდენი ვიკამათე მათთან, რომ ხმა ჩამიწყდა. მე ვუმტკიცებდი, რომ ბიქსა და გოგოს ძალიან კარგად შეუძლიათ ერთმანეთთან მეგობრობა და რომ გოგოს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს თავის ამხანაგს.

ფაიკამ ჰკითხა მდუმარე ეგოროვს:

— შენ რა აზრისა ხარ?

მან როგორღაც უცნაურად შეხედა ფაიკას და თქვა:

— ლიდა მართალია, ბიქსა და გოგოს შეუძლიათ ერთმანეთთან მეგობრობა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ერთი პირობა: გოგოები უნდა მიგვაჩინდნენ ჩვენთანსწორ ამხანაგებად და ქედმაღლურად არ ვუტკერდეთ მათ, როგორც ხშირად ხდება ჩვენთან.

### 28 ოქტომბერი

ფიზკულტურის შემდეგ მირა კოვანმა გვითხრა მე და ფაიკას:

— ვხედავ, კიბეზე ამოდის ტროიციკი. კიბეზე ქალაღი ეგდო.

ტროიციკის ჩაუარა მერვეკლასელმა გოგა ვაკუ-ლინმა და უთხრა:

— მათილდა, აიღე!

ტროიციკი მშვილად განაგრძო გზა. მაშინ ვაკუ-ლინმა უთხრა:

— აჰა, არა გსურს? — და ხელი ჰკრა მათილდას, მან კი, თითქოსდა არაფერიაო, განაგრძო გზა და აზრადაც არ მოსვლია სამაგიერო გადაეხადა.

ფაიკა მზად იყო მოეკლა მირა ამ ცნობისათვის, მე მას ვუთხარი:

— უჰ, ამას კი არ მოგელოდი! მაშასადამე, ის, გარდა იმისა, რომ უსაქმურია, მშიშარაც ყოფილა. მე მეზიზღებოდა ბიქები, რომლებიც ასე მშვიდოდ იტანენ შეურაცხყოფას. მე კი სეირს ვაჩვენებდი ვაკუ-ლინს.

დღეს ისეთი ამბავი მოხდა, რამაც მთელი სკოლა შეაშფოთა. მესამე ვაკვეთილზე ხატვა გექონდა. ზარის დარეკის წინ მერხიდან მერხზე გადადიოდა ბარათი: „დღეს საუზმეზე ღვიძლიანი ნამცხვარია“. ჩვენი სასადილო განთქმულია თავისი ღვიძლიანი ნამცხვრებით. ამიტომ ზარის შემდეგ ყველა ბავშვი გავარდა სალაროსთან რიგის დასაჭერად. მე მორიგე ვიყავი და კლასის გასანიაველად დავრჩი. როდესაც დერეფანში გავედი, დირექტორის კაბინეტთან დავინახე შეჯგუფული ბავშვები; ისინი ერთმანეთს უბიძგებდნენ და ცდილობდნენ კარებში შეეჭვრიტათ.

— რა მოხდა? — შევეკითხე როზა ივანოვას, რომელიც ქშინავდა, იდაყვებს აქეთ-იქით იქნევდა და ცდილობდა გამოსულიყო ამ ჯგუფიდან.

— განა არ იცი? ჩვენი განცევიჩი და მერვეკლა-



სელი ტროიცი მობრძენენ დერეფანში და გერმანულის მასწავლებელი წააქციეს. საცოდავმა ისე გააძინა ბრავანი, რომ ერთბაშად ვერც კი წამო-  
დგა. ახლა დივანზე წევს დირექტორის კაბინეტში.

— ესეც შენი ტროიცი, — გავიფიქრე მე, — აკი ამბობდნენ ძალიან წყნარიად.

ამ დროს დერეფანში გამოჩნდა დმიტრი ოსიპოვიჩი. მას მოყავდა განცევიჩი და მატლდა.

განცევიჩი, აჭარხლებული და გაჩეჩილი, გვერდზე მოქცეული ჰალუსტუხით, გაიძახოდა:

— ეგ დაეჯახა გერმანულის მასწავლებელს...

მატილდა უხმოდ მოდიოდა.

დმიტრი ოსიპოვიჩმა ორივე ბიჭი შეიყვანა დირექტორთან და კარი მოაჯახუნა. მე ჩავფიქრდი და სასადილოში წავედი. იქ ფაიკას შევხვდი. მან მითხრა:

— არა, არა, არ მჯერა, თითქოს მატლდას წაექციოს გერმანულის მასწავლებელი, სადა აქვს ამის თავი.

სასადილოში ყველანი მხოლოდ ამ ამბავზე ლაპარაკობდნენ. შემდეგი გაკვეთილი ლიტერატურისა იყო. რაისა სემიონოვნასთან ერთად მოვიდა ხელმძღვანელი, და ჩვენთან ჩატარდა რიგგარეშე საკლასო კრება. ლაპარაკი იყო უხეშობასა და ცუდ დისციპლინაზე.

ჟორა განცევიჩი, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა დირექტორისაგან, მოღუშული იჯდა და გულდასმით უთლიდა წვერს თავის ფანქარს.

— აბა სთქვი, განცევიჩ, სად გარბოდი ასე თავქუდმოგლეჯილი დერეფანში, რომ გზაზე ხალხს აყირაუებდი? — ჰკითხა ხელმძღვანელმა.

ჟორა ღუმდა.

— ლეიძლიანი ნამცხვრისათვის! გარბოდა, — თქვა ასტახოვიჩმა.

ჩვენ ყველას გაგვეცინა, ხელმძღვანელმა და რაისა სემიონოვნამაც კი ვერ შეიკავეს ღიმილი. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ, კვლავ სერიოზული გამომეტყველება რომ მიიღო, ხელმძღვანელმა თქვა:

— გარდა იმისა, რომ განცევიჩმა წააქცია თავისი მოხუცი მასწავლებელი და როდესაც ის წაიქცა აზრადაც არ მოსვლია ხელი გაეწოდებინა მისთვის, გარდა ამისა ჟორამ იცრუა კიდევ და ჰსურდა თავისი დანაშაული სხვისათვის მოეხვია თავზე. ჟორა სულ ამტკიცებდა ანა ურბანოვნას მერვეკლასელი ტროიცი დაეჯახაო, რომელიც მასთან ერთად



თად გარბოდა დერეფანში. როდესაც ორივენი მიიყვანეს დირექტორთან, აქ შემთხვევით გამოირკვა ერთი გარემოება: იმ დროს იქ გაუვლია ვალერი პეტროვიჩის და დაუნახავს, როგორც მოხდა ყოველივე ეს. ჟორა დაეჯახა ანა ურბანოვნას და გაიქცა. ტროიცი დაეხმარა ანა ურბანოვნას, წამოაყენა და გაიქცა, რომ განცევიჩს წამოსწოდა. მან დერეფნის ბოლოში დაიჭირა განცევიჩი. აქ ატყდა მათ შორის ჩხუბი, და ორივენი დირექტორთან წაიყვანეს. ასე იყო თუ არა, განცევიჩ?

— ჰო, — წაიბურღლუნა ჟორამ.

— საქმეც ეგ არის. ახლა, ბავშვებო, ლიტერატურის გაკვეთილი გატკვთ, ჩვენ ისედაც 15 წუთი წავართვით რაისა სემიონოვნას, განცევიჩის საკითხი უახლოეს საერთო-სასკოლო კრებაზე დაისმება.

ამ სიტყვებით გავიდა ხელმძღვანელი.

— ხედავ, — წამჩურჩულა ფაიკამ, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ძალიან კმაყოფილი იყო, — მატლდა არ არის დამნაშავე!

(გაგრძელება იქნება)

თარგმანი შ. თაბუკაშვილისა.





# მიხეილ ივანეს ძე კალინინი

1875 წლის 20 ნოემბერს ტვერის გუბერნიის (ამჟამად კალინინის ოლქი) სოფელ ვერხნაია ტროიკაში ღარიბი გლეხის ივანე კალინინის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა ვაჟი მიხეილი.

მიშა (ასე უწოდებდნენ მას ბავშვობისას) იზრდებოდა ისევე, როგორც სოფლის სხვა დანარჩენი ბავშვები, მაგრამ ყოველივე წამოწყებაში იგი მოთავე იყო.

ბევრგვარი სამუშაო ჰქონდა მიშას: ცხენებისათვის წყალი უნდა დაეღვივებინა, პირუტყვი გომურში უნდა შეერეკა, შეშა უნდა მოეზიდა... კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ უნდა გაეკეთებინა. ბევრია სამუშაო სოფლის მეურნეობაში. ზამთრობით შედარებით ნაკლებს მუშაობდა, რადგან სწავლაც საჭირო იყო.

გავიდა რამდენიმე ხანი, და მიშამ ანაბანაც შეისწავლა. შემდეგ უკვე სკოლაშიაც დაიწყო სიარული. სკოლაში სწავლა შედარებით იოლი საქმეა, ხოლო ასე თუ ისე განათლების მიღება გლეხის შვილისათვის მეტად ძნელია. მიშას კი სწყურია სწავლა, მას სურს განათლება მიიღოს... სად მიიღოს ეს განათლება? მიშა ხშირად ყოფილა ბატონის სახლში, მას იქ ეძახდნენ ბატონის ბავშვების გასართობად... ბატონს უზარმაზარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ერთხელ მიშამ ვახედა და ბატონს სთხოვა — თქვენ ბიბლიოთეკაში წიგნებს წავიკითხავო. ბატონმა ნება დართო, და მიშამ დაწაფებით დაიწყო წიგნების კითხვა. იგი სულ კითხულობდა და კითხულობდა, ბატონს ახალ-ახალ წიგნებს სთხოვდა.

ბავშვი გულისხმიერი იყო, და ბატონმა, მორღუხაი ბოტოვსკიმ, გადაწყვიტა 12 წლის მიშა აეყვანა ხელზე მოსამსახურედ. აქეთ-იქით დარბოდა იგი, გართული იყო საქმეში. ხან სამზარეულოში, ხან აივანზე, ხან კი ბაღში ეძახოდნენ. მოსვენება არ ჰქონდა. დარბის მიშა ზევით-ქვევით, სამზარეულოში,



სარდაფში, და სულ ფიქრებშია გართული. ფიქრობს და ვერ გადაუწყვეტია: როგორაა, რომ სოფლად ქოხში კაცი ძლივს მობრუნდება, აქ კი, ბატონისას, ცარიელ ოთახებში გზა აგებნევა. სოფლად გლეხები დღე-ღამე უშუსუნებლივ მუშაობენ, აქ კი ქალბატონს ცხვირსახოცი თუ გაუფარდა, მოახლე გოგოს ეძახის მის ასაღებად. უფიქრდება მიშა და ფიქრობს: „სადაა სამართალი?“ ამ ფიქრებში ბევრჯელ გავარდნია ხელიდან ჭურჭელი. ერთხელ ოცი საინი უცებ გაუტყდა. მაგრად მოხვდა იმ დღეს მიშას ქალბატონისაგან...

1889 წლის ზამთარში ბატონები პეტერბურგს გაემგზავრნენ და მიშაც თან წაიყვანეს.

1893 წელს მიშა შედის შეგირდად პეტერბურგის სავაზნე ქარხანაში „სტარი არსენალში“. აქედან დაიწყო მიშას დამოუკიდებელი ცხოვრება. ქარხანაში თვეში 8 მანეთს ღებულობდა. ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1895 წელს, გადადის პუტილოვის ქარხანაში, სადაც მუშაობს ხარატად. ამ ქარხანაში იგი გაეცნო რევოლუციურ მუშებს და იმ დღიდან მთელი თავისი ცხოვრება რევოლუციურ მოღვაწეობას შესწირა.

პუტილოვის ქარხანაში ყოფნის დროს მიხეილ ივანეს-ძე შედის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“ (ეს კავშირი ლენინმა დააარსა 1895 წელს) ხელმძღვანელობას უწევს „ბრძოლის კავშირის“ პუტილოველთა ჯგუფს, დიდის დაძაბულობით მეცადინეობს და ეუფლება მარქსიზმს.

1899 წელს პოლიცია თავს ესხმის „ბრძოლის კავშირის“ პეტერბურგის საბჭოს. კავშირის 25 წევრს შორის აპატიმრებენ მიხეილ ივანეს-ძეს. ის ერთი წელიწადი ციხეში იმყოფება.

1900 წელს კალინინს ასახლებენ თბილისში, სადაც იგი ეწყობა ხარატად რკინისგზის სახელოსნოში. აქ იგი უკავშირდება არალეგალურ მარქსის-



ტულ წრეებს და რევოლუციური მოძრაობის ცენტრში ექცევა. თბილისში ჩამოსვლის მესამე დღეს იგი უკვე გამოდის რკინისგზელთა არალეგალურ კრებაზე მოხსენებით „ბრძოლის კავშირის“ პეტერბურგის საბჭოს შესახებ.

სამი თვის შემდეგ რკინისგზის სახელოსნოებში გაფიცვისათვის დათხოვნილ იქნა სამუშაოდან და რკინისგზის მუშათა წრის 25 წევრთან ერთად მეტეხის ციხეში მოათავსეს.

1901 წლის დასაწყისში, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, გადასახლებულ იქნა რველში (ამჟამად ეს ქალაქი ესტონეთშია), სადაც მუშაობს ხარატად რკინისგზის სახელოსნოში. აქ იგი არალეგალური წრის ორგანიზატორი და ხელმძღვანელია და ახერხებს საიდუმლო სტამბის მოწყობას. რველში იგი ითვლებოდა გაზეთ „ისკრას“ ერთერთ მთავარ ავენტად. 1903 წლის იანვარში აპატიმრებენ და გადაჰყავთ პეტერბურგში.

1903 წლის ივლისში ათავისუფლებენ ციხიდან და გზავნიან ისევ რველში, სადაც პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყოფება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რევოლუციურ მუშაობას თავს არ ანებებს.

1904 წელს მიუსაჯეს 4 წლით გადასახლება აღმოსავლეთ ციმბირში, მაგრამ ვინაიდან ამ დროს რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო, იგი გადასახლეს ოლონეცკის გუბერნიის ქალაქ პოვენცეში. 1905 წელს სხვისი პასპორტით ბრუნდება და მუშაობს პეტერბურგში პუტილოვის ქარხანაში.

1906 წელს რ. ს. დ. მ. პ. სტოკჰოლმის (შვეცია) ყრილობის დელეგატი. სტოკჰოლმის ყრილობის შემდეგ კვლავ პუტილოვის ქარხანაში მუშაობს. უანდარმერიისა და მეფის ოხრანკის მხრივ დევნის გაძლიერების გამო იძულებულია დატოვოს პეტერბურგი. 1908 წელს მოსკოვს მიემგზავრება. 1910 წელს მას კვლავ აპატიმრებენ.

პეტერბურგის პუტილოვის ქარხანაში დაბრუნებისას მოუსწრო გამძვინვარებულ ბრძოლას ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. მიემხრო ბოლშევიკების პარტიას და არჩეულ იქნა რაიონული კომიტეტის წევრად. პოლიციის მიერ დევნილი, გაძევებული, იგი გადადიოდა ერთი ქარხნიდან მეორეში, მას ასახლებდნენ სოფლად, აპატიმრებდნენ, თოთხმეტჯერ ირჩეოდა მისი საქმე სასამართლოში.

1912 წელს პრადის კონფერენციაზე ირჩევენ ბოლშევიკების ც. კ.-ის წევრობის კანდიდატად. 1913 წლის გაზაფხულზე, სტალინისა და სვერდლოვის დაპატიმრების შემდეგ, ც. კომიტეტი ავალებს კალინინს უხელმძღვანელოს ბოლშევიკურ პრესას.

ომის წლებში, დაპატიმრებამდის (1915), მუშაობდა პეტერბურგის ერთერთ უდიდეს ქარხანა „აივანში“, სადაც აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა სხვა ბოლშევიკებთან ერთად.

ც. კ.-ისა და პარტიის პასუხისმგებელ მუშაკთა სხდომაზე, რომელიც შედგა 1917 წლის 29 ოქტომბერს მის საკუთარ ბინაზე, კალინინი დაქინებულ იქნა ითხოვდა ოქტომბრის გადატრიალების მოწყობის უკვე წამოჭრილ საკითხში მტკიცედ უჭერდა მხარს ლენინსა და სტალინს.

მიხეილ ივანეს-ძე, დიადი ოქტომბრის რევოლუციის აქტიური მონაწილე, ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლია.

1919 წელს, როდესაც გარდაიცვალა სრულიად რუსეთის ცაკის პირველი თავმჯდომარე ანტ. ი. მ. სვერდლოვი, წინანდელი „მიშა“, ლენინის წინადადებით, ერთხმად არჩეულ იქნა მის ადგილზე.

კალინინი რუსეთის ცაკის თავმჯდომარედ თავისი არჩევის შესახებ ამბობდა:

„ჩემს არჩევას მე ვიხილავ, როგორც სიმბოლოს გლახებისა და მუშათა მასების მჭიდრო კავშირისას, რადგან ჩემს პიროვნებაში პეტროგრადის მუშა ერთიანდება ტვერის გლახთან“ (კალინინი, წერილები მოხსენებიდან 1919-1935, პარტგამომცემლობა, 1935 წ. გვ. 13, რუსული გამოცემა).

წითელი არმიის განმტკიცებაში თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის და ფრონტებზე საბრძოლო დამსახურებისათვის კალინინი დაჯილდოვებულია საბრძოლო ცეცხლმსროლელი იარაღით, ჩარიცხულია საპატიო წითელარმიელთა რიგებში და ორჯერ დაჯილდოვებულია ბრძოლის წითელი დროშის ორდენით.

სსრკ-ის დაარსების მომენტიდან (1922) კალინინი სსრკ ცაკის თავმჯდომარეა.

კალინინი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის წევრია 1919 წლიდან და აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პოლიტბიუროს წევრია 1926 წლიდან.

სამი წლის წინათ, 1935 წლის 20 ნოემბერს, ამხანაგ მ. ი. კალინინს შეუსრულდა 60 წელი. ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ ის ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

1937 წლის 12 დეკემბრის არჩევნებში კომუნისტთა და უპარტიოთა ურყევი სტალინური ბლოკის ერთერთი უდიდესი გამარჯვება იყო ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანის, ლენინ-სტალინის საქმისათვის ბოლომდის ერთგული მებრძოლის, სპეტაკი ბოლშევიკის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის არჩევა.

ამჟამად ამხანაგი მ. ი. კალინინი სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეა.

„წითელი პუტილოველის“ ქარხანაში დღემდის დარჩენილია დაზვა, რომელზედაც ამხანაგი კალინინი მუშაობდა. ამ დაზვაზე მუშაობს ამ ქარხნის ერთერთი საუკეთესო დამკვრელთაგანი. დაზვასთან ასეთი წარწერაა:

„აქ მუშაობდა მიხეილ ივანეს-ძე კალინინი“.



# სიმღერა ნარინჯებზე

დღეს რთველი გვაქვს ნარინჯების,  
ყველა რთველზე მომხიბლავი,  
დღეს დამკვრელურ ნაბიჯებით  
მარგალიტის დადგათ ხვაი.

ვენაცვალე იმის ხელებს,  
აქ ნარინჯი ვინაც დარგო,  
დავუბნინოთ ოქროს ველებს  
და ნაყოფი ყველას ვარგოთ.

დოვლათს დროზე მივეშველოთ,  
დავტრიალდეთ მარდად, ქალო.  
ჩანს, სამშობლო საქართველოს,  
ოქროს მკერდი უხვად გვწყალობს.

დავეწაფოთ ყველა მარდად  
შეძლებული ყოფის წყაროს,  
დღეს კოლხიდა იქცა ვარდად,  
და სამშობლო ამით ხარობს.

მურმან ლებანიძე

# მტრდონი

შენს გულ-მკერდზე დღეს სიძველის  
ყველა კვალი წაიშალა,  
მის მაგივრად დღეს ბალები  
გაიფურჩქნა. გაიშალა!

ლამაზი ქვის კალაპოტში  
მოდუდუნებს მტკვარი ნელი,

სანაპირო დიდი ქუჩაც  
შემოსილა მწვანე ფერით.

და მჩქეფარე შადრევნები  
დღეს შენს ბალებს ამშვენებენ.  
ქუჩებში კი ძველის ნაცვლად  
აქალ სახლებს აშენებენ.


ვახტანგ კეკელიძე

თბილისი, მე-2 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე.





# რუსეთი მტრად



მეთვრამეტე საუკუნის 70-იან წლებში, რუსეთს ომი ჰქონდა თურქეთთან. ეკატერინემ გამოგზავნა საქართველოში გენერალი ტოტლებენი, 4000 ჯარისკაცითა და თოფ-ზარბაზნებით, თურქების წინააღმდეგ. მან დახარება სთხოვა ერეკლე ძეგეს.

ერეკლემ სასწრაფოდ შეკრიბა 5000 ზებრძოლი და რუსის ჯარითურთ გაემგზავრა ახალციხისაკენ, სადაც ბანაკად იღვა თურქთა სერასკირი (მთავარსარდალი) საუკეთესოდ შეიარაღებული 30 ათასი მეომრით.

ბრძოლის წინაღობით რუსის გენერალმა ტოტლებენმა აქარა თავისი ჯარი და უბრძანა საქართველოს სამხედრო გზით (დარიალის ხეობით) რუსეთისაკენ გამგზავრება.

— სად მიბრძანდებით, გენერალო?! სად მივყავთ რუსის ჯარი? — გაცემებით შეეკითხა ტოტლებენს ერეკლე მეფე.

— რუსეთისაკენ მივემგზავრები ჩემი ჯარით... — უპასუხა დინჯად რუსის გენერალმა.

— რატომ, რისთვის?! განა გაწყენინეთ რამე?! წამოიძახა ერეკლემ უფრო მეტი გაცემებით.

— არაფერი... ესეცაა მივიღე ბრძანება ჩემი იმპერატრიცისაგან. მას უკვე შეუტარავს ზავი (სამშვიდობო პირობა) ოსმალეთის სულთანთან და მიბრძანება მთელი ჯარით რუსეთში დაბრუნებას, — იყო გენერლის ცივი პასუხი.

მე რალას მიპირებთ?! მაშ, მარტოდმარტო მტოვებთ 30 ათასი გააფრთებული მტრის წინაშე?! ხომ წალეკა მტერმა ჩემი ერთი მუჭა მხედრობა! ხომ გაანადგურა ჩემი სამეფო! მე ხომ თქვენი გულისათვის ავუტეხე ბრძოლა მძვინვარე სულთანს!

— ეგ მე არ მეხება. უსტარი მივიღე ეკატერინე დიდისაგან და მოვალე ვარ შევასრულო მისი ბრძანება, ისევე დინჯად უპასუხა ტოტლებენმა და უბრძანა თავის ჯარს დაძრულიყო მცხეთისაკენ.

— ნუ მოუპაოთ, გენერალო! გვედრებით დარჩეთ! ნუ ლუპავთ საქართველოს! განა ეს არის რუსის მეფეთა იმედები და დაპირებანი?! — კვლავ გამწარებით შესძახა ერეკლემ და მოხუცს ცრემლები წასკდა...

რუსის გენერალი აღარ უსმენდა ივერიის მეფეს, თეთრ ბედაურზე მჯდარი მიუძღვოდა იგი თავის ჯარს მცხეთისაკენ და იქიდან სამხედრო გზით რუსეთისაკენ...

არ შეუშინდა მრავალრიცხოვან მტერს ივერიის

მეფე ერეკლე, მან წინასწარ მოისახრა ყველაფერი, გაამაგრა ვიწროები, ჩახერგა მტკვარზე ხიდი და ხუთიათასი მამაცი ლომივით ეძგერა 30 ათასი კაცისაგან შემდგარ თურქთა ლაშქარს.

ბრძოლა მოხდა მეორე დღეს ასპინძასთან (ახალციხის ახლოს), ბრძოლა მედგარი და უზოგველი. სისხამ დილიდან დაღამებამდის იღვროდა სისხლი, ისმოდა თოფ-ზარბაზნების გრიალი, ხელჩართული ომის ყიყინა და ხმალ-კალდემის ჩახაჩუხი... ივერიის მკირე ჯარს ბრძოლის ველზე წინ უძღოდა, ვით უბრალო სარდალი, თვით ერეკლე გმირი. მის გვერდით იქნევდა ხმალს მისივე გმირი ბადიში იოანე ბატონიშვილი.

ველარ გაუძლო თურქთა მხედრობამ ქართველთა თავგანწირულ სიმამაცეს, საღამოჟამს იბრუნა პირი გასაქცევად და მიაწურა ხილს... აქ მოხდა მტრის საშინელი მარცხი.

ჩაინგრა ადრევე ჩახერგილი ხიდი და თან ჩაიყოლია ათასობით თურქი, ქვეითი და ცხენოსანი. აღიდებულმა მდინარემ დაახრჩო ისინი და მათი უსულო გვამნი გააქანა თბილისისაკენ...

ასე ბრწყინვალედ დამთავრდა ივერთათვის ასპინძის ომი, ასე საბედისწერო გახდა სულთანის ჯარისათვის ეს ბრძოლა!

კიდევ უფრო გაითქვა მთელ ქვეყანაზე ერეკლე გმირის სახელი. ქება-დიდებათ იხსენიებდა მას თავის წერილებში საფრანგეთის დიდ ფილოსოფოს ვოლტერის მიმართ რუსეთის მეფე ეკატერინე მეორე. მაგრამ ყველაზე მეტად აოცებდა ერეკლეს ასეთი გმირობა პრუსიის მეფეს ფრიდრიხ დიდს. იგი ხშირად ამბობდა: დასავლეთით მე ვბრძანებლობ, აღმოსავლეთით კი უძლეველი გმირი ივერიისა ერეკლე მეფეო, უგზავნიდა მას ფეშქაშებს, თანაც ომის დროს ამხნევებდა თავის ჯარებს ქართველთა და ერეკლე მეფის გმირობის მაგალითებით. აგრეთვე ფრიდრიხ დიდმა მოაქრევეინა ფული, რომლის ერთ მხარეზე გამოსახული იყო თვითონ ფრიდრიხი, ხოლო მეორე მხარეს — ერეკლე მეფე.

გავიდა დრო. დაიწერა რუსეთსა და საქართველოს შორის ტრაქტატი. კიდევ უფრო მოხუცდა ერეკლე, დასუსტდა, დასწეულდა... გაჩნდნენ შინაური მტრები, რომელთა ინტრიგები დიდ ზიანს აყენებდნენ სამეფოს. თვით მეფე ერეკლე რაპდენადაც დიდი სარდალი იყო ბრძოლის ველზე, იმდე-





ერეკლე მეორე

ნადაც სუსტი დიპლომატი შეიქნა ცხოვრებაში. აქ მან დიდი შეცდომები დაუშვა.

იმჟამად ირანის სამეფო ტახტზე ძალმომრეობით ავიდა ბოროტი არსება, ალა-მამადხანი. მან მოსთხოვა ერეკლეს, ეცნო იგი ირანის მეფედ (შაჰად) და დასწრებოდა მას გვირგვინის კურთხევაზე. ერეკლემ უარი შეუთვალა, თახაც დასძინა: ირანის დიდი ბატონის, ნადირ-შაჰის ყულს (მონას) ვერ ვიცნობ სპარსთა ბრძანებლად.

ასეთმა პასუხმა უზომოდ გააბრაზა ალა-მამადხანი. მან შეკრიბა დიდი ლაშქარი, 72 ათასი მეომარი, და წაპოვიდა ივერიის მოსასპობლად. მალე მოუახლოვდა თბილისს. ეს მოხდა 1798 წელს, ოქტომბერში.

ერეკლემ ძლივს შეკრიბა სამიათასი მებრძოლი, ორი ათასი კაცით სასწრაფოდ დაეხმარა იმერეთის მეფე სოლომონ II. ამ 5 ათასი მეომრით უმკლავდებოდა ერეკლე ირანის დიდ ლაშქარს, რიცხვით 15-ჯერ მეტს.

მიუხედავად ამისა, არ შეკრთა, არ შეშინდა ეს ღრმად მოხუცი ივერიის ლომი. მან სასწრაფოდ გაამაგრა თბილისის შემოსასვლელი ვიწროები და თავისი მცირე რაზმით მამაცად ეკვეთა მტერს კრწანისის ველზე (ქალაქიდან 12 ვერსის მანძილზე, სადაც ბანაკად იდგა მძვინვარე ალა-მამადხანი).

ბრძოლა დაიწყო სისხამ დილიდან.

ამ დროს ეახლა მეფეს 300 გოლიათი ხევსორი, ჯუბა-ჯავშანში მსხდარნი, მოხარეს ქედი და შეკვიციეს: ამ ბრძოლაში დავიხოცებით ყველაზე ხელსაწყო ზურგს არ ვაჩვენებთ მტერსაო... და ეს ფიქრი იქნება ნათლად შეასრულეს. ისინი ლომებოვით შეკვივდნენ მტრის შუაგულ რაზმებში, შეიტანეს ყველგან შიში, სიკვდილი და გამირულად დააკვდნენ რამდენიმე ათასეულ სპარსთა ხროვას...

ასეთივე გაათორებით ეკვეთნენ ყოველ მხრივ ურიცხვ მტერს ერეკლეს დანარჩენი რაზმები და მოამწყვდიეს შუაში. შეიქნა ხელჩართული ომი, ბრძოლის ყაჟინა, ხმალთა და შუბთა მზეზე პრიალი, უზოგველი ჩახაჩუხი... თვით ღრმად მოხუცი ერეკლე წინ უდგა რაზმებს, თავის მამაკებს, მედგრად იქნევდა ხმალს და იბრძოდა ლომოვით...

ბრძოლამ გასტანა დაღამებამდის. ღამის სიბნელემ გაყარა მტრები. 12 ათასი ირანელი ემსხვერპლა ამ სისხლისმღვრელ ომს. განახევრდა თითქმის ერეკლეს მხედრობა. გამარჯვება ქართველებს დარჩათ. შეშინებულმა ალა-მამადხანმა აღარ დაუტოვა მეორე დღეს, იმავე ღამეს აყარა თავისი ლაშქარი და ირანისაკენ გაეშურა. მხოლოდ დილით ცვენს ეს ამბავი ქართველებმა. დადევნება შეუძლებელი იყო ჯარის სიმცირის გამო.

გამარჯვებული და უზომოდ გახარებული მოხუცი ერეკლე დაბრუნდა თბილისში. მან მაღლობით გაისტუმრა იმერთა მხედრობა, ხოლო თავისი მცირე რაზმით გაამაგრა ციხეები, — მეტეხი და ნარიყალა. იგი თითქო ელოდა მტრის დაბრუნებას... მართლაც დაბრუნდა მტერი. ივერიის სამეფოს სამარცხვინო მოღალატენი, ივერიაში შეფარებულნი, მათი თავი კაცებით სასწრაფოდ დაედევნენ ირანელ ლაშქარს, დაეწვივნენ, ეახლნენ თავყვანისკემით ალა-მამადხანს, მიართვეს დიდი ხაზინა, ბლომად ფული და ფიცით დაარწმუნეს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა ფრიად ადვილი საქმეა, ერეკლეს აღარ ჰყავს ჯარი, შვილები გადაუდგნენ და არ ეხმარებიან. იმერთა რაზმი წავიდა თავის ქვეყანაში და სხვა ასეთები, და გაქცეული ალა-მამადხანი თავისი ლაშქრით უკანვე დააბრუნეს. იგი მოადგა თბილისს და ალყა შემოარტყა ციხეს, სადაც იყო თვით ერეკლე. საუბედუროდ, აქაც აღმოჩნდნენ ქვეყნის მოღალატენი და ჩუმად გაუდეს მტერს ციხის კარები. მოხუცმა მეფემ ძლივს მოასწრო გაქცევა ციხის ფარული გვირაბიდან 160 კაცით და კახეთს შეაფარა თავი.

აღარ გამოეკიდა მას მტარვალი ალა-მამადხანი. იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ თბილისის გაცარცვით, გოგირდის აბანოების დანგრევით და დიდი ალაფით დაბრუნდა ირანში...

ფრიად დაამწუხრა შინაურმა ღალატმა მოხუცი ერეკლე, წყალმაკით მძიმედ დაავადებული იგი სამიოდე თვის შემდეგ მიიცვალა ქ. თელავში.

უზომო გლოვა-ცრემლებით გადმოსვენეს იგი მცხეთას და დაასაფლავეს სვეტიცხოვლის ტაძარში.





# ქოქაქაქა თავზაბი

უცხოელები პრეგერი, პესუელ-ლეშე და სხვები აღტაცებით გადმოგვცემენ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მათ მომღერალ-მუსიკოსი თევზებისაგან მიუღიათ შორეული ინდოეთისა და ატლანტის ოკეანეში გატყორცნილი კუნძულების მიდამოებში.


უკვე გამორკვეულია, რომ ყველა თევზი არ არის უტყვი, მუნჯი, ზოგიერთი მათგანი დაჯილდოებულია უნარით გამოსცეს გარკვეული ბგერები. ასე, მაგალითად, ერთნი ლულუნებენ, კრუხუნებენ ან კუტკუტებენ, მეორენი სისინებენ, ბზუიან ან ღრიალებენ. არის კიდევ თავისებური სახის თევზები, რომელნიც მშვენივრად გალობენ, ხან მალა უწყვენ ხმას, ხან კიდევ დაბალ ფარდებში ნაზად, ლირიკულად ახმატკბილებენ.

ზემოთ დასახელებულ ოკეანეებში იმ დროს, როცა გემი წყნარად მისრიალებს დამშვიდებულ ტალღებში, როცა ყოველმხრივ სიჩუმეა ჩამოწოლილი, უეცრად სიმშვიდეს არღვევს წყლის სიღრმიდან წამოსული საკვირვლად კეთილზმოვანი ჰანგები. ვინ კენესის წყალში ასე ნაღვლიანად, ასე თავდავიწყებით? მათი სახელი მედლოე თევზებია. ისინი მოაცილებენ დიდ საოკეანო გემს და გზაში გატაცებით მღერიან რაღაც იღუმალ და გამოუცნობ საგანზე. ამ დროს გემის ბაჰანს ყური რომ დაედოთ, უეჭველად მოგვესმება ყრუ ზრიალი წყალქვეშ მოწოლილი ხმებიდან. ეს მომღერლები გარეგნულად ოპერის მსახიობებს გვანან. ტანზე ქერცლის ფერადი „კოსტიუმი“ და ახოვანი წარმოსადიგი ტანი (სიგრძე მეტრნახევარი) მათ სანდომიან იერს ანიჭებს.


არსებობს აგრეთვე სახეობა ე. წ. წყალ-ხმელეთა თევზებისა, ესენი არიან ე. წ. ქერცლიანი აფრიკელები, რომელნიც ზღვის მომღერლებად ითვლებიან. ისინი ლაყუჩებთან ერთად ფილტვებითაც არიან შეჭურვილნი, რაც მათ საშუალებას აძლევს ხმელითზე, ჰაერში თუ წყალში თანაბრად იმოძრაონ. ტანი მათ გველს მიუგავთ, სამკუთხედად ნაწყვეტი ბოლო და უცნაური ოთხი ფართლი მათ არასასი-

ამოვნო სახეს აძლევს. ჩვეულებრივ ისინი ცხოვრობენ აფრიკის თბილ წყლებში და თავს სიპინით, კიბონაირთა და ბაყაყებით იკვებებენ. ქერცლიანი აფრიკელის სიმღერა ვერ არის მისაზიდი. მათ სისინა და კატასავით კნავილში ცოტაა მუსიკალობა.

არსებობს კიდევ კობრისა და კაპარჭინას მსგავსი ერთგვარი თევზები, რომლებმაც ბაგეებით ტლაშა-ტლუში იციან. თევზი თორუჯი საკვირვლად ღრიალებს. ე. წ. ქვისქვეშა თავისებური თევზები ზარივით წკრიალა ხმას გამოსცემენ. მომღერალი თევზების ერთი ნაწილი საგანგებო მუსი-



კალური ორგანოებით არიან დაჯილდოებულნი. ზოგი მათგანი ბაგეების, კბილების, ბოლოს რითმული ქნევითა და რხევით ქმნის გარკვეულ მუსიკალურ ხმებსა და ბგერებს. წყლის მცხოვრებთათვის როგორც ცეკვა-თამაში და გართობა, ისე სიმღერა — მუსიკა ბუნებრივი მოთხოვნილებაა. მომღერალი თევზების ბევრი სიმღერა, რომელიც ჩვენ სრულიად მაბეზარ და მოსაწყენ რამედ მიგვაჩნია, მათთვის უაღრესად ჰარმონიულ ჰანგს წარმოადგენს, მათ სმენას საამოდ ატკბობს მონოტონურ (ერთხმოვან) ამოძახილთა უსიამოვნო გროვა.






38-372




# ბასართობი

## არხ ისე აღვილია!



დასკერით თითოეული ოთხკუთხედი ორ-ორ ნაწილად, და დაალაგეთ ისე, რომ მიიღოთ ერთი მრავალკუთხედი.

## კასუნი „აიონარის“ № 10-ში მოთავსებულ გასართობზე ხუთ ქიზიანი ვარსკვლავი



## გ ა ვ შ ვ ე ბ ო !

უკვე სწარმოებს ხელისმძღვრა ჟურნალ „პიონერზე“ 1939 წლისათვის.

ხელისმძღვრას დებულბენ: „სოიუზპეჩატი“, ფოსტა, წერილის დაძტარებლები, ხელისმძღვრის შემკრებნი საწარმოებსა, დაწესებულებებსა და სკოლებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებში ტრანსპორტზე.

### ხელისმძღვრის პირობები:

- 1 წლით . . . . 6 მანეთი,
- 3 თვით . . . . 1 მან. და 50 კაპ.
- 6 თვით . . . . 3 მანეთი,
- ცალკე ნომერი . . . . 50 კაპ.